

სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობა

საპროექტო სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვა
გამარტივებული
ელექტრონული ტენდერის საშუალებით

სატენდერო დოკუმენტაცია

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12¹ მუხლის, „სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 22 ოქტომბრის N9 ბრძანების საფუძველზე

2010 წელი 26 იანვარი
ქ. სიღნაღი

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის.....	3
2. ტექნიკური დოკუმენტაცია	7
3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი	9
4. დამატებითი ინფორმაცია.....	14
5. დანართი N1- აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა.....	15
6. დანართი N2 - სატენდერო წინადადება	16
7. დანართი N3 - რეკვიზიტები, ვადები, ანგარიშსწორება	18
8. დანართი N4 – ანალოგიური სამუშ. შესრულების გამოცდილება	19
9. დანართი N5 - ხარჯთაღრიცხვა	20

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების და „სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის“ შესაბამისად.

1.2 სატენდერო წინადადების წარდგენისათვის უნდა იყოს დარეგისტრირებული სისტემაში მიმწოდებლის სტატუსით. შემდეგ ვალდებული ხართ გაეცნოთ აფიდავიტს და დაეთანხმოთ მას (გაცნობას და თანხმობას ადასტურებთ სისტემის მეშვეობით). აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა იხ. დანართ N1.

1.3 ამის შემდეგ, მიმწოდებელი ვალდებულია ჯერ წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია, ხოლო შემდეგ გადაიხადოს ტენდერში მონაწილეობის საფასური.

1.4 სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით. ტენდერში მონაწილეობის საფასური შეადგენს 50 ლარს.

1.5 ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის სისტემაში არსებული ავტომატური საშუალებების დროებითი ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში, ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა ყოველ კონკრეტულ ტენდერში შესაძლებელია განხორციელდეს სისტემის გამოყენების გარეშე.

1.6 ამ ინსტრუქციის 1.5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც ხდება ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა სისტემის გამოყენების გარეშე, ელექტრონული გარანტიის დედანი და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინება შემსყიდველ ორგანიზაციას. აღნიშნული ქმედებების განხორციელების გარეშე თქვენ არ გექნებათ სატენდერო წინადადების წარდგენისა და, შესაბამისად, ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა.

1.7 ელექტრონული გარანტიის ოდენობა შეადგენს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს.

1.8 მას შემდეგ, რაც ზემოაღნიშნულ ქმედებებს განახორციელებთ, თქვენ უფლება გაქვთ სისტემის მეშვეობით წარადგინოთ სატენდერო წინადადება.

1.9 სატენდერო წინადადება შედგება სატენდერო წინადადების ფასისგან და ტექნიკური დოკუმენტაციისგან.

1.10 ტექნიკური დოკუმენტაცია არის პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით, გარდა ადმინისტრაციული ორგანოდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა.

1.11 ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა მიუთითოთ თქვენი სატენდერო წინადადების ფასი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

1.12 სატენდერო წინადადების ფასის მითითებისთანავე თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ მონაწილეობა ელექტრონულ ვაჭრობაში, რომელიც იყოფა ძირითად დროდ და დამატებით 3 რაუნდად.

1.13 ძირითად დროში უფლება გაქვთ ცვალოთ თქვენი ფასი, კლებადობის პრინციპის გათვალისწინებითა და შემსყიდველის მიერ განსაზღვრული ბიჯზე არანაკლები ოდენობით.

1.14 ბიჯი არის სატენდერო წინადადების ფასის კლების წინასწარ განსაზღვრული მინიმალური ოდენობა, რომელიც მითითებულია სატენდერო განცხადების შესაბამის ველში.

1.15 დამატებითი რაუნდების თითოეულ რაუნდში პრეტენდენტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ შეამციროს წინადადების ფასი, რისთვისაც განესაზღვრება ორი წუთი. დამატებით რაუნდებში მონაწილეობა სავალდებულო არ არის და პრეტენდენტს უფლება აქვს რაუნდში მონაწილეობა არ მიიღოს და, შესაბამისად, ძალაში დარჩება მის მიერ ბოლოს დაფიქსირებული ფასი. რაუნდებში მონაწილეობის მიღება გულისხმობს ზემოთ აღნიშნული პრინციპით ფასის შემცირებას ან მის იგივე ოდენობით დატოვებას.

1.16 დამატებით რაუნდებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებმაც ძირითად დროში წარადგინეს წინადადება დადგენილი წესით. პირველ რაუნდში პრეტენდენტის მიერ წინადადების ფასის წარდგენის რიგითობა განისაზღვრება ძირითად დროში წარდგენილი წინადადების ფასის მიხედვით, კერძოდ, პირველ რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ძირითად დროში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა, ხოლო ყოველ მომდევნო რაუნდში - კი ის პრეტენდენტი, რომელმაც წინა რაუნდში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა. წინადადების თანაბარი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში, რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც პირველმა დააფიქსირა ასეთი ფასი.

1.17 მას შემდეგ, რაც დასრულდება დამატებითი რაუნდები, სისტემა პრეტენდენტებს აჯგუფებს სატენდერო წინადადების ფასის მიხედვით. ამის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოწმდება ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია.

1.18 იმ შემთხვევაში თუ ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ სისტემაში მითითებულია თანაბარი ფასი, სისტემა ავტომატურად ანიჭებს უპირატესობას იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა სატენდერო წინადადების აღნიშნული ფასი.

1.19 თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი მას განუსაზღვრავს არაუმეტეს 3 დღისა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისათვის. დაუშვებელია ტექნიკური დოკუმენტაციის ისეთი დაზუსტება, რომელიც გამოიწვევს სატენდერო წინადადების არსებით ცვლილებას და მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე.

1.20 თუ პრეტენდენტის სატენდერო წინადადება შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს მას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გასაცემი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნით, არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

1.21 იმ შემთხვევაში თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა წარმატებით გაირა ყველა ზემოთ მოყვანილი ეტაპი (არ იქნა დისკვალიფიცირებული), ამ პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, შემსყიდველი დებს მასთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას.

1.22 პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენისას.

ბ) თუ პრეტენდენტი უარს აცხადებს მის მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადებაზე;

გ) თუ საუკეთესო ფასის მქონე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ან/და საკვალიფიკაციო მონაცემები არ შეესაბამება (მათ შორის, ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების შემდეგ) სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;

დ) თუ გამარჯვებული პრეტენდენტი უარს განაცხადებს ხელშეკრულების დადებაზე ან ვერ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას (ასეთი გარანტიის არსებობის შემთხვევაში) კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში;

ე) პრეტენდენტის მიერ არაკეთილსინდისიერი ქმედების განხორციელებისას.

1.23 ამ ინსტრუქციის 1.22 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს, თუ ამ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს.

1.24 გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას, „სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ქ“, „რ“ და „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის შემდეგ ელექტრონული გარანტია უბრუნდება პრეტენდენტს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

ა) პრეტენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე;

ბ) პრეტენდენტი შეყვანილია შავ სიაში შესაბამისი ტენდერის ჩატარების შედეგად;

გ) პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულია საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში.

1.25 იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული გარანტიის პრეტენდენტისათვის დაბრუნება მოხდება ამ ინსტრუქციის 1.24 პუნქტით დადგენილი პირობების დარღვევით, პრეტენდენტი ვალდებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დაუბრუნოს საგარანტიო თანხა შესაბამისი მოთხოვნისთანავე.

1.26 ელექტრონული ტენდერის შეწყვეტა:

ა) სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს ტენდერი თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემდეგ, თუ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ფასს ან/და ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას.

ბ) სატენდერო კომისიას უფლება აქვს გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის შემთხვევებში ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;

გ) შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, პრეტენდენტებს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზედაც მიიღო ეს გადაწყვეტილება. შესყიდვის პროცედურების შეჩერებისას ან შეწყვეტისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, ანაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.27 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული

ქართული თარგმანი.

1.28 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.29 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.30 ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.31 პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1 საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

2.1.1 იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება;

ბ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

გ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამსახურიდან);

დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

2.1.2 ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან რეგისტრაციის შესახებ.

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

2.1.3 როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:

2.1.3.1. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს რეკვიზიტები დანართი N3-ის მიხედვით.

2.1.3.2. ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული, ან/და მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური სამუშაოების შესახებ დანართი N4-ის შესაბამისად.

2.1.3.3. ინფორმაცია სამუშაოების შესრულების ვადის შესახებ დანართი N3-ის შესაბამისად.

2.1.3.4. ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების დანართი N3-ის შესაბამისად.

2.1.3.5. ხარჯთაღრიცხვა დანართი N5 მიხედვით.

2.1.3.6. სატენდერო წინადადება დანართი N2-ის შესაბამისად.

2.2 ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის თარიღი არ უნდა უსწრებდეს ელექტრონული ტენდერის და გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გამოცხადების თარიღს;

2.3 ამ პუნქტის 2.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული, ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, წარმოდგენილ უნდა იქნეს შემსყიდველი ორგანიზაციაში მოთხოვნიდან არა უმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში. არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

2.4 პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხორციელდება სისტემის გამოყენების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია მოახდინს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

2.6 ანგარიშსწორების პირობები:

2.6.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

2.6.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში.

2.6.3 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდგომი გადახდის პირობით ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო დოკუმენტების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

2.7. სამუშაოს აღწერა:

2.7.1 საპროექტო სახარჯთაღრიცხვო მომსახურეობა (იხ. დანართი N4).

2.8. სამუშაოს შესრულების ვადა:

2.8.1 აღნიშნული სამუშაოების შესრულების საბოლოო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 კალენდარული დღე.

2.9 მიმწოდებლის მიერ ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული.

2.10 **პრეტენდენტის მიერ ტექნიკური დოკუმენტაციის სახით წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია დანართი N2, დანართი N3, დანართი N4 და დანართი N5-ის სახით.**

3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (პროექტი)

ხელშეკრულება N

ქ. სიღნაღი

„----“ ----- 2010 წელი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ერთი მხრივ, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო, თავმჯდომარის ზაზა ზედელაშვილის სახით, (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ -----

- (შემდგომში მიმწოდებელი) შორის. იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, საპროექტო სახარჯთაღრიცხვო მომსახურეობის ადგილობრივ შესყიდვაზე რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა ----- სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება ----- ლარად შეასრულოს აღნიშნული მომსახურეობა.

1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 1.1 შემსყიდველი, მისი წარმომადგენლის მეშვეობით ახდენს შესრულებული სამუშაოების ინსპექტირებას.
- 1.2 მიმწოდებლის მიერ გასაწევ, ან უკვე გაწეულ მომსახურეობაზე კონტროლი (ინსპექტირება) ხორციელდება სისტემატიურად შემსყიდველის შეხედულებისამებრ. ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.
- 1.3 მიმწოდებელი უზრუნველყოფს ინსპექტირების ჩატარებას აუცილებელი პერსონალით და ტექნიკური საშუალებებით.
- 1.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის და ან ნაკლის აღმოფხვრა.
- 1.5 შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად აწარმოებს კონტროლს მომსახურეობის მიმდინარეობაზე, თანახმად საქართველოში მოქმედი ყველა სამშენებლო ნორმების, სტანდარტების და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს გააჩნია უფლება შეაჩეროს მომსახურეობა და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული სანქციები.
- 1.6 მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურეობის დროს გამოიყენოს მხოლოდ ის მასალები, რომელთა ხარისხი შეესაბამება საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს მიმწოდებლის მიმართ პასუხისმგებლობის ღონისძიებები.
- 1.7 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს:
 - ა) -----;
 - ბ) -----;
 - გ) -----;
 - დ) -----;

2. მომსახურების შესრულების პირობები

- 2.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან ----- ჩათვლით უზრუნველყოს მომსახურების გაწევა შემსყიდველისათვის.
- 2.2 მიმწოდებელი ვალდებულია გაწიოს მომსახურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების დაცვით.
- 2.3 მხარეები განიხილავენ გრაფიკის შესრულების მიმდინარეობის საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ გრაფიკში სათანადო ცვლილებები.
- 2.4 შემსყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით.

3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 15.2. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი ფორმა N2) და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების შემდეგ.
- 15.3. შესყიდვის ობიექტის მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება გაწეული მომსახურების ადგილზე.
- 15.4. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4. ანგარიშსწორება

- 4.1 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.
- 4.2 მიმწოდებელი ანგარიშსწორებისას ვალდებულია წარმოადგინოს, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მთლიანი და ჯამური (დამატებული ღირებულების გათვალისწინებით) ღირებულება.
- 4.3 შემსყიდველი ანგარიშსწორებას განახორციელებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა (სამუშაოთა მოცულობის მიღება-ჩაბარების აქტი ფორმა N2) და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
- 4.4 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში.

5. ფასები

- 5.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ----- ლარს.
- 5.2 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.
- 5.3 ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.
- 5.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.
- 5.5 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

5.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

- 6.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
- 6.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელის მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
- 6.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
- 6.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. უფლებების გადაცემა

- 7.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მესამე მხარეს.

8. სუბკონტრაქტორები

- 8.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების დამატების სახით.
- 8.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტორის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
- 8.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

- 9.1 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში, შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
- 9.2 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა 0,15 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
- 9.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ს, ამ ხელშეკრულების მოქმედება ვადამდე შეწყდება.

10. ფორს-მაჟორი

- 10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
- 10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
- 10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

- 11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
- 11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. გამოყენებული სამართალი

- 13.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. ხელშეკრულების ენა

- 14.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა

შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

14. გადასახადები და დაბეგვრა

- 15.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.
- 15.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 კალენდარული დღის ჩათვლით ----- მდე

1.6 სხვა პირობები

- 17.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 17.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ სახელით, ხარჯებითა და რისკით.
- 17.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
- 17.4 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
- 17.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

18. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

<u>„შემსყიდველი“</u>	<u>„მიმწოდებელი“</u>
სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობა	
ტელ: (+995) (255) 3-10-05	ტელ:
მისამართი: ქ. სიღნაღი, აღმაშენებლის N2	მისამართი:
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს. „ლიბერთი“ ბანკის სიღნაღის ფილიალი	
ბანკის კოდი – LBRTG22	
ა/ნ –	
საიდენტიფიკაციო კოდი - 240417223	
თავმჯდომარე	
_____ /ზაზა ზედელაშვილი / ბ. ა.	

შენიშვნა: ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

4. დამატებითი ინფორმაცია:

4.1 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სიღნაღის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის აპარატში, ქ.სიღნაღი, აღმაშენებლის. N2, I სართული. საკონტაქტო პირი: მალხაზ სიფრაშვილი, ტელ: 8 (255) 31005. ელ. ფოსტა: signagi_gamgeoba@yahoo.com.

5. აფიდავიტი

სატენდეროწინადადებისდამოუკიდებლადგანსაზღვრისთაობაზე

გამოცხადებულტენდერშიმონაწილეობისმიღებისმიზნით, ვადასტურებ, რომჩემსმიერწარმოდგენილისატენდეროწინადადებაშემუშავებულიაკონკურენტისგანდამოუკიდებლად. ასევევადასტურებ, რომ:

* ჩემთვისცნობილია, რომსატენდეროწინადადებადისკვალიფიცირებულიქნება, თუაღმოჩნდა, რომაფიდავიტშიმოცემულიინფორმაციაარისყალბიან/დაცრუ;

* უფლებამოსილივარპრეტენდენტისმიერ, ხელიმოვაწეროამაფიდავიტსადაწარვადგინოესსატენდეროწინადადება;

* ნებისმიერპირი, რომლისხელმოწერაცდაფიქსირებულიასატენდეროწინადადებაზე, შესაბამისადუფლებამოსილიაპრეტენდენტისმიერ;

* ჩემთვისცნობილიარომტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტისმიზნებიდანგამომდინარე, გულისხმობსნებისმიერპირს, რომელიცშესაძლებელიაიყოსპრეტენდენტთან/დაწარადგინოსსატენდეროწინადადებაამტენდერში;

*

მატერიალურიგამორჩენისანუპირატესობისმიღებისმიზნითპრეტენდენტსადაკონკურენტსშორისარწარმოებულაკონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმებაანმოლაპარაკებაშემდეგსაკითხებთანდაკავშირებით:

- სატენდეროწინადადებისფასი;
- სატენდეროწინადადებისფასისგამოთვლისმეთოდი, კოეფიციენტიანფორმულა;
- სატენდეროწინადადებისწარდგენაანწარდგენისგანთავისშეკავება;
- ისეთისატენდეროწინადადებისგანზრახწარდგენა,

რომელიცარაკმაყოფილებსგამოცხადებულტენდერისპირობებს;

• შესყიდვისობიექტისხარისხი, მოცულობა,
ტექნიკურიპირობებიანმიწოდებისდეტალები, რომელთაცეხებასატენდეროწინადადება;

* სატენდეროწინადადებისპირობებიპრეტენდენტსწინასწარიგანზრახვით, პირდაპირანარაპირდაპირ, არგაუმჟღავნებიაან/დაარგაუმჟღავნებსკონკურენტსსატენდეროწინადადებისგანსაჯაროებისმომენტამდე.

გავცანიამაფიდავიტისშინაარსსდავადასტურებწარმოდგენილიინფორმაციისუტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფომესყიდვებისმიზნებისთვის, აფიდავიტიწარმოდგენსსატენდეროწინადადებისდამოუკიდებლადგანსაზღვრისთაობაზეწერილობითდოკუმენტს, რომლისხელმოწერი, პრეტენდენტისსახელით, ადასტურებსდოკუმენტშიმითითებულინფორმაციისადაგარემოებებისუტყუარობასდასაქართველოსკანონმდებლობითდადგენილიწესითპასუხსაგებსადნიშნულიინფორმაციისადაგარემოებებისუტყუარობაზე. აფიდავიტითგანსაზღვრულიპირობებისდარღვევაიწვევსსისხლის-სამართლებრივპასუხისმგებლობასსაქართველოსსისხლისსამართლისკოდექსის 195¹ მუხლისშესაბამისად.

6. სატენდერო წინადადება

თარიღი: _____

ვის: _____
(შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება)

ვისგან: _____
(პრეტენდენტის დასახელება და მისამართი)

შევსწავლეთ რა სატენდერო დოკუმენტაცია, თანახმა ვართ სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად განვახორციელოთ _____

(შესყიდვის ობიექტის აღწერა)

შესრულება და გთავაზობთ ზემოაღნიშნულის შესრულებას შემდეგ ფასად:
_____ (ციფრებით)

_____ (სიტყვიერად) _____ (ვალუტა).

ალტერნატივა (ალტერნატიული წინადადების წარდგენის დაშვების შემთხვევაში):

_____ (ალტერნატიული წინადადების არსი და ფასი)

ჩვენი სატენდერო წინადადების გამარჯვების შემთხვევაში, ვიღებთ ვალდებულებას დავიწყოთ სამუშაოს შესრულება _____ დღის განმავლობაში და დავასრულოთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (შემდგომ “ხელშეკრულება”) ძალაში შესვლიდან _____ დღეში (სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების შესაბამისად აქ შეიძლება ჩაიწეროს სამუშაოს შესრულების ვადები ან დაწყება-დასრულების კონკრეტული თარიღი).

სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა შესაბამისად ჩვენი სატენდერო წინადადება უზრუნველყოფილია გარანტიით (ამ მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში).

ჩვენი სატენდერო წინადადების გამარჯვების შემთხვევაში, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად ჩვენს მიერ წარმოდგენილი იქნება _____ შემდეგ თანხაზე:

(საბანკო გარანტია, დაზღვევა ან სხვა)

_____ (ხელშეკრულების შესრულების

(ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით)

უზრუნველყოფის მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში).

წინამდებარე სატენდერო წინადადება ძალაშია _____დღის განმავლობაში,
დაწყებული შემდეგი თარიღიდან: _____ .

ამით ვადასტურებთ, რომ გაცნობილნი ვართ “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ”
საქართველოს კანონსა და “სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შესახებ”
დებულებას და ტენდერის მსვლელობის დროს ვიმოქმედებთ დადგენილი ნორმების
ფარგლებში.

სატენდერო წინადადებას თან ახლავს შემდეგი დანართები (გვერდების რაოდენობის
მითითებით):*

1. წინამდებარე სატენდერო წინადადება (დანართი N2)
2. რეკვიზიტები, ვადები, ანგარიშსწორება (დანართი N3);
3. ანალ. სამუშ. შესრულების გამოცდილება (დანართი N4);
4. ხარჯთაღრიცხვა (დანართი N5);

(ხელმოწერა)

(თანამდებობა)

(პრეტენდენტის დასახელება)

* სატენდერო დოკუმენტაციაში მოთხოვნილი სხვა ინფორმაცია, მასალები, ცნობები.
აუცილებელ დანართს წარმოადგენს ფასების ცხრილი).

7. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

მომსახურე ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

7.1. მომსახურეობის ვადები:

7.2. ინფორმაცია ანგარიშსწორების შესახებ:

სატენდერო წინადადების ვადა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წინადადებების მიღების დაწყებიდან არა ნაკლებ 30 კალენდარული დღე.

ხელმოწერა, ბეჭედი -----

თარიღი -----

8. ინფორმაცია ანალოგიური
სამუშაოების შესრულების შესახებ

N	სამუშაოს დასახელება	ღირებულება	დამკვეთი	ინფორმაცია სამუშაოს შესრულების შესახებ	შენიშვნა
1					
2					
3					
...					

(ხელმოწერა, ბეჭედი)

(თარიღი)

#	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება	საპროექტო ღირებულება პროცენტულად	სულ ღირებულება
1	ბოდბისხევი-ჯუგაანი-ტიბაანის ცემენტობეტონის ცენტრალური გზიდან ჯუგაანის სკოლის მიმართულებით ჩამავალი გზის რეაბილიტაცია			
2	სოფ. ბოდბიდან სოფ. ბოდბისხევისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია			
3	ფორე მოსულიშვილის მუზეუმში შენობის ნაწილის დემონტაჟის და დარჩენილი ნაწილის რეაბილიტაცია			
4	სოფ. ვაჭირის კულტურის სახლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია			
5	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საკანალიზაციო დაზიანებული სისტემების მოწესრიგება			
6	დაზიანებული ჭაბურღილების და წყლის სისტემების რეაბილიტაცია (მიმდინარე რემონტები)			